წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

სამშაბ. 26 სექტემბერი. 1922 წ.

№ 102 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებ's ყოველდღიური ორგანო № 102

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხკორების საყურადღებოთ

გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ ინფორმატორების ხელმოუწერელი შეუმოწმებელი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება, აგრეთვე წერილის ქვემოთ ავტორის ვინაობა აღნიშნული უნდა იყოს გარკვევით

რედაქცია

გერმანიის მემარჯვენე სოციალისტურ პარტიების გაერთიანება.

მსოფლიო ომმა, იმ ვითომც სოციალისტურ პარტიებს, რომლებმაც უღალატეს ორტოდოქსალურ მარქსიზმს და კლასთა ბრძოლის მეთოდის მაგივრათ, შემოიღეს ბურჟუაზიის მხმარე თანხმობის და დათმობის პოლიტიკა, სავსებით ჩამოაფხრიწა ყოველგვარი „სოციალისტური“ იარლიკი, და ფართო მასას წაუყენა წინ, როგორც გამცემი და ბურჟუაზიის ლაქიათ გარდაქცეული პარტია.

მეორე ინტერნაციონალი, რომლის დევიზი და მისწრაფება უნდა ყოფილიყო მსოფლიო ომის წინააღმდეგ, ომით გალაშქრება, სავსებით მიემხრო ყაჩაღურ ომის დამწყებთ, რითაც რევოლიუციონურად განწყობილ ევროპის მუშათა კლასს დაუბნელა მდგომარეობის დაკვირვებულათ აწონ-დაწონვის შემეცნება, და სავსებით ჩაათრია იმპერიალისტურ ომის ქექა-ქუხილში.

ამნაირად ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, მხოლოდ უბრალო ფიქციათ გადაიქცა და მის მაგივრათ პრაქტიკაში გამეფეს შემდეგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, დაერიეთ ერთი მეორეს ამოსაჟლეტათ.“

მაგრამ მეორე ინტერნაციონალში იყვნენ ჯერ კიდევ სავსებით შუბლ არ გარეცხილნი სოციალისტები. ესენი იყვნენ კარლ კაუცკი და მისი თანამოაზრენი, რომლებიც წინ აღუდგნენ მსოფლიო ომს და ამ შემთხვევაში სასტიკათ გაილაშქრეს გერმანიის იმ მემარჯვენე სოციალისტურ პარტიების წინააღმდეგ რომლებიც მხარს უჭერდნენ მას.

ამან კი გამოიწვია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორ მთავარ ბანაკათ გაყოფა, რომლებთაგან ერთს ეწოდა შეიდემანელების ანუ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული ხოლო მეორეს კაუცკის ანუ დამოუკიდებელთა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მათ შორის მსოფლიო ომის საკითხის გამო იყო ერთგვარი წინააღმდეგობა და უთანხმოება, თუმცა სხვა ათასგვარ სოციალურ საკითხებში საერთო შემაერთებელი ენა ყოველთვის ქონდათ გამონახული.., მაგრამ ამ ენასაც არაფერი არ დაუშლია კაუცკისთვის, დღეს მარქსიზმის უდიდეს რენეგატისთვის გამოეყო თავის პარტია უკვე მისივე აზრით გაყვითლებულ ინტერნაციონალისთვის და დაეარსებია თავისი ინტერნაციონალი, რომელსაც ეწოდა ორნახევარი.

გადიოდა ხანი და რამდენათ მსოფლიო ომის ქარტეხილს ფრთები ეკვეცებოდა იმდენათ საბჭოთა რუსეთის (განსაკუთრებით კი მესამე ინტერნაციონალის) მეთაურობით სოციალისტური მოძრაობები რომლებიც ღებულობდნენ წმიდა კომუნისტურ ხასიათს, ფრთებს შლიდნენ, და ყველა ქვეყნის მუშათა კლასს მოუწოდებდნენ საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომებისკენ.

იყო შემთხვევები, როცა თვით გერმანიაში შესაძლებელი იყო მუშათა ძალაუფლების გამოცხადება მაგრამ შეიდემანელების და კაუცკიანელების შემწეობით, მებრძოლი პროლეტარიატი ყოველთვის სასტიკათ დამარცხდა და ის კვლავ დასტოვეს გერმანიის, თუ ანტანტის კაპიტალისტების მძიმე უღლის ქვეშ საჯიჯგნათ.

ამას კი, მშვენივრად ხედავდა გერმანიის არც ისე გონება დახშული მუშათა კლასი და აი მასშიც თანდათანობით ფეხს იკიდებდა უნდობლობა მეორე თუ მეორენახევარ ინტერნაციონალებისადმი, და მის მაგივრად იზრდებოდა ნდობა და სიმპატია კომუნისტებისადმი. ამან კი, აიძულა გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის ლიდერი კარლ კაუცკი ყურადღება მიექცია ამისთვის და მისი ზრდის შესაჩერებლათ წამოეყენებია შეიდემანელებთან გაერთიანების საკითხი, ეს მით უმეტეს შესაძლებელი იყო მაშინ, როცა მთავარი სადაო საკითხი: ომი არ არსებობდა და სხვა საპირ-ბოროტო საკითხებში, არც ისე დიდი უთანხმოება იყო მათ შორის.

ეს წინადადება მემარჯვენეებშიც მიიღეს და აი, როგორც დეპეშები გვატყობინებენ მათში შეთანხმებაც მალე მოხდება. მაშინ კი მეორე-ნახევარ ინტერნაციონალიც როგორც ასეთი, უნდა მოკვდეს და მაშასადამე მსოფლიოს წინაშე წამოიჭრება ორი ძალა. მეორე და მესამე ინტერნაციონალები. რაიც საშვალებას მისცემს ევროპის მშრომელთ, უფრო ადვილათ გაერკვიონ, ხოლო ეს გარკვევა მათი კი სავსებით გააკოტრებს მეორე ინტერნაც. როგორც უკიდურეს დამცველს ბურჟუაზიის ინტერესებისა და დარაზმავს მესამე კომინტერნის გარშემო, რომელიც სწორი გაბედული ნაბიჯით გააქანებს მას იმ ბედნიერებისაკენ, რომელსაც სოციალიზმს უწოდებენ.

პანი.

ამიერ კავკასიის ძმური დახმარება დამშეულებს.

„საქართველომ დიდი უნარი გამოიჩინა ყირიმის მშიერების დახმარებაში. საქართველოში დახმარების ცენტრალური კომიტეტმა გაგზავნა ყირიმში საკმაო დიდი პარტიები სურსათისა მათ შორის 88,000 ფუთი სიმინდი გაგზავნილ სურსათიდან კერჩმა მიიღო 16,000 ფუთი, ფეოდორიამ 17,000 ფ. სევასტ. 75,000 ფ. და კიდევ დამატებით სევასტოპოლი და ფელსიკ. 30,000 ფ. აქ ნაჩვენების გარდა ყირიმში გაგზავნილია მშიერთა დამხმარე ცენტ. კომიტეტის რწმუნებული ამხ. რუდელის თანხლებით—21 ფუთი მედიკამენტები ბევრი კონსერვები და 4,500ფ. ბრინჯი. უკანასკნელი არის დახმარება აღერბეიჯანის მშრომელთა მიერ, რომელნიც როგორც საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის მშრომელნი ცდილობენ გაუწიონ ყოველ გვარი დახმარება დამშეულ ძმებს ამიერ კავკასიის რესპუბლიკებიდან არ ღებულობს დახმარებაში მონაწილეობას მხოლოდ სომხეთი, ვინაიდან ის თვითონ დამშეულია აფხაზეთმა შესწირა ყირიმს 26,000 ფუთი თუთუნი, რომელიც იცვლება სიმინდში და გაგზავნილი იქნება გაცვლისთანავე დანიშნულებისაებრ.

დღევანდელი ცნობები

— შვეიცარიის დელეგატმა მოტამ მოითხოვა, გერმანიას აგრძნობინონ რომ მისგან მოელიან თხოვნას ერთა ლიგაში მიღების შესახებ. საფრანგეთის სენატორი ჟუვენელი ამას ეწინააღმდება.

— ერთა ლიგის დროებით საბჭოს წევრების რაოდენობა ბენშით და ბრანტინგით.

— საფრანგეთის დელეგატი სენატორი ჟუვენელის წინადადება განიარაღების ერთხმად მიღებულია 45 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ, ვინაიდან ერთად ერთი საშვალება ეკონომიური თანასწორობის დამყარებისათვის არის განიარაღება.

— ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით წლის დაწყებიდან რუსეთში ითვლება 65,000 ხოლერით ავათმყოფები პარტახტიანი სახადით პირველ სექტემბრამდი მილიონზე მეტი. მარტო აგვისტოს თვეში ირიცხება 9.000კაცი.

— ხარკოვის ორთქმავლის გამკეთებელი ქარხანა ამოქმედდება ოქტომბერში. ქარხანა უზრუნველყოფილია სასურსათო და სათბობ მასალით ქარხნის წლიური პროგრამმა 60 პროც. ორთქლმავლის და 120 ძველის გაკეთება.

— დონბასეინში დაიწყო სურსათის გატანა. თუ რაიმე მიზეზით არ შეწყდა მომამრაგება მაშინ ნოემბერში შეიკრიბება ორი თვის სურსათის მარაგი. აგვისტოში ირიცხებოდა 54.000 მუშები.

— სათბობ მასალის კრიზისი რკინის გზებზე ძლიერდება.

— სევასტოპოლში იტალიანურ განყოფილება „ლოიდ ტრიესტანოში“ მოტანილია იტალიის 3000 ფუთი საქონელი

— უკრაინის დამშეულთა დამხმარე ალმასკომი იტყობინება- რომ დამშეულთა დამხმარე ყველა უცხოელთა ორგანიზაციები არჩენენ 2 მილიონი შიმშილის მსხვერპლს.

საშუალო, რიგში არიან შემდეგი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთ საბერძნეთის ფრონტზე.

იტალიის და საფრანგეთიდან ცნობით ოსმალოების ჯარი თავს იყრის ჩინაკაში, ევროპის ტერიტორიაზე გადმოსასვლელათ, მიუხედავად ინგლისის ჯარების იქ ყოფნისა.

—კონსტანტინოპოლში დადის ხმები ქემალისტების ნეიტრალურ ზონაზე შეტევის შესახებ.

—კონსტანტინოპოლში დიდი ნერვიულობაა ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის გამო, დადის ხმები რომ კონფერენციას დაესწრება ამერიკის არა ოფიციალური წარმომადგენელი.

—საკითხი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში რუსეთის საქმის შესახებ იპყრობს დიდ ყურადღებას. გაზ. „მანჩესტერ გარდიანი“ აქცევს ყურადღებას ამ როლს დაღნიშვნას რომ უაზრობა იქნება კონფერენციის მოწვევა რუსეთის გარეშე. რუსეთი უფრო მეტად არის დაინტერესებული სრუტეების საკითხში ვიდრე სხვა სახელმწიფოები.

—კონსტანტინოპოლში დარწმუნებული არიან, თუ ოსმალეთის ნაციონალური მისწრაფება ფრაკიის საკითხში არ იქნება დაკმაყოფილებული, ანგორის მთავრობა აღარ იქნება პასუხის მგებელი შესაძლებელ შედეგებისათვის.

—ანგორის მთავრობის წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლში დაარწმუნა მოკავშირეთა ძალები, მთავარ სარდალი, ოსმალეთს განზრახული აქვს დაიკავოს დარდანელი რათა ბოლო მოუღოს ბერძნების სიმხეცეს ფრაკიაში.

—სრუტეების ძალით დაჭერის ასაცდენათ, ინგლისის წარმომადგენელი აძლევს წინადადებას მოკავშირეებს დაუბრუნონ ოსმალეთს ფრაკია.

—ინგლისის კაბინეტმა დაადგინა არ დასცალოს ფრაკია მანამ სანამ ქემალი არ მისცემს მათ თავისი კეთილი ნების გარანტიას.

—ინდოეთის საკანონმდებლო ყრილობის წევრების დეპუტაციამ ჩააბარა, ვიცე მეფეს დეკლარაცია პროტესტით ინგლისი პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთში.

—კონსტანტინოპოლში მოვიდა საკმაო დიდი ინგლისელების დამხმარი ძალები.

—ოსმალეთის ნაციონალურ ყრილობამ გადასწყვიტა თავის რეზიდენციის გადატანა სმირნაში.

—ამერიკის გაზეთები მოურიდებლათ აბრალებენ ანტანტას ახლო აღმოსავლეთის კრიზისს, უმთავრესი მათი იმპერიალისტურ პოლიტიკის გამო.

—ინგლისის კომისიამ კონსტანტინოპოლში გაუგზავნა ლოიდ-ჯორჯს მემორანდუმი რომელშიდაც კომისია მოითხოვს ადრიანოპოლის აღმოსავლეთ და ფრაკიის გადაცემის ოსმალოებისადმი.

—დასავლეთ ფრაკიას უნდა მიეცეს ავტონომია და გამოეცხადოს ერთალიგის მფარველობის ქვეშ.

—ბელგრადიდან ცნობით რუმინეთი და სამხრეთ- სლავია არიან ოსმალეთისთვის ანდრიანოპოლის დაბრუნების წინაალმდეგ.

—დღის სხდომაზე პუანკარემ შეიტანა წინადადება რათა დათხოვნილი იქმნეს იმირთაში კემალთან ფრანკლითა ბუთლონი. თათბირმა მოიწონა წინადადება.

— ინგლისის პრესის ცნობით მოკავშირეების კონსტანტინოპოლში აწი დარჩენას შეუძლია გამოიწვიოს საზღვაო ომი, მიუხედავათ ამის ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს თავის ჯარების უკან დაბრუნებას ჩინაკიდან და ფიქრობს იარაღით უკუაქციოს ოსმალების შემოტევა.

— ინგლისის გადაწყვეტილებამ ჯარების ჩინაკაში დატოვებაზე. მოახდინეს საფრანგეთ იტალიაზე არა სასიამოვნო შთაბეჭდილება.

— პარიზში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომ ჩინაკაში მოკავშირეთა გარნიზონებ შორის არის უთანხმოება იტალია და საფრანგეთი წინაალმდეგ არიან ჩინაკაში ჯარების დატოვებისა.



ჩვენს წითელ ჯარში

კულტმუშაობა თბ. მცველ-მხლებელთა ათასეულში

18 ენკენისთვეს ჩვენს ათასეულში ბრიგადის უფროსის თანდასწრებით და საბიბლიოთეკო, სასკოლო, საკლუბო და დრამატიულ წრეთა ხელმძღვანელების მონაწილეობით შესდგა კულტგანმანათლებელ კომისიის სხდომა. კრებამ იმსჯელა კედლის გაზეთის დაარსების და კლუბის და დრამატიულ წრის შესახებ.

დაადგინეს კედლის გაზეთის გამოშვება, რისთვისაც ამორჩეულ იქმნა სარედაქციო კოლეგია.

დრამატიულ წრის გარშემო მსჯელობის შემდეგ დადგენილ იქმნა დაითხოვონ რუსული სცენის მოყვარენი, მოიწვევთ ქართული მსახიობები და ხშირად დადგან ქართული პიესები. თუ საჭიროება მოითხოვს წრის ხელმძღვანელმა უნდა მოახდინოს წითელ არმიელთა შორის სცენის მოყვარეთა მობილიზაცია.

კლუბის შესახებ საჭიროდ სცნო სხდომამ რათა კლუბში წესრიგი იყოს ყოველ წარმოდგენაზე მორიგეთ დაინიშნოს კულტგანმანათლებელ კომისიის თითო წევრი.

მ. მაჩიტაძე.

ყურადღება უნდა მივაქციოთ

პირველ ქართულ მსროლელ ლეგიონის წითელ არმიელები, ამ ჟამად განიცდიან ცუდ მდგომარეობას, ერთის მხრივ ისინი ვერ ღებულობენ. შესაფერ საჭმელს, იმის მაგივრად, რომ დღეში იჯრა ორჯერ მზადდებოდეს სადილი და ვახშამი ერთხელაც არ არის კარგი იჯრა, არ არის საშვალება და მოწყობილება რომ წით. არმ. შეეძლოს დაასუფთაოს თავისი დასვრილი ტანისამოსი. ყაზარმა ყოვლად უმწეო მდგომარეობაშია. სინათლე არას დროს არ არის და დაბნელებულ ყაზარმაში ძალიან გასაჭირია ჩვენი ცხოვრება. ჩვენ ვიცით რომ ასეთი მდგომარეობა თუ გაიგო უმაღლეს მუშათა და გლეხთა მთავრობამ, იგი მას მოაგვარებს. ვიცით რომ წითელ არმიელს გუშაგს რევოლიუციისა და თავისუფლების, ის ყოველთვის უზრუნველყოფს, მაგრამ ახლა ეს ასე არ არის ვინაიდან ჩვენში ხდება ბოროტი მოქმედება, ჩვენში არიან პირები, რომელიც თავის სარგებლობისათვის აყენებენ ჩვენს ლეგიონს ასეთი მდგომარეობაში. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამას მიექცევა ყურადღება ვისგან ჯერ არს და პირველი მსრ. ლეგიონის წითელ არმიელების მდგომარეობა გაუმჯობესებული იქმნება.

წით. არმ. ქრ. ბალჩაძე.

განა შეიძლება ასეთი უყურადღებობა.

1-ლ ქართულ სამთო საარტილერიო დივიზიონის 2-რე ბატარეია ა. წ. 26 ივლისს გადმოვიდა ფორტ ამიდიაში. გადმოსვლისთანავე ავადმყოფობა მოედო მთელ ნაწილს, და არ ყოფილა მთელ შემადგენლობაში ისეთი მხედარი რომელსაც ავადმყოფობა არ განეცადოს. ნაწილს ჰყავს ფერშალი, რომელიც უვლიდა ავადმყოფებს, მაგრამ დახმარება არ სჭირდა, ვინაიდან, როგორც ეს შემდეგ ბათომიდან მოსულმა ექიმების კომისიამაც შეამოწმა, მიზეზი ავადმყოფობისა იყო სადგომების უვარგისობა სინესტე და ფორტ ამიდიის რაიონში გავრცელებული კოღოები, რომელნიც ხელს უწყობენ ციებ—ცხელების გავრცელებას. კომისიის დათვალიერების შემდეგ ჩვენი სადგომები დაათვალიერა ბრიგადის უფროსმა და აღგვითქვა ბათომში სხვა ახალ ბინაზე გადაყვანა. მას შემდეგ გადის ხანი და ჩვენ ისევ ამ ცუდ ბინაზე ვიმყოფებით და შეპირება არ სრულდება. განა შეიძლება ასეთი უყურადღებობა ასე მივიწყება, როცა ყოველი დღე წითელ არმიელების ავადმყოფობას ართულებს?

2-რე ბატარეის ვ. ხ. აგა



სამხედრო საქმე

როგორ ვ წარმოოთ ომ!.

5.) ყოველმა მებრძოლმა უნდა გამოიჩინოს უაღრესი თვითმოქმედების უნარი. ამავე დროს ყოველი მათგანი მტკიცედ უნდა იცავდეს მხედრულ დისციპლინას.

6.) ბრძოლის დროს განკარგულებათა ინიციატივა უნდა გადავიდეს ათისთავზედ

7.) კომანდირმა კარგად უნდა იცოდეს პოლიტიკური და ეკონომიური გარემოება, ვინაიდან ომში მონაწილეობას იღებს მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი.

ს. ისკანეც.

ყველა ზემონათქვამიდან შემდეგი დასკვნა გამოგვყავს: 1.) ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ არა შარშებით, არამედ ჯგუფობრივ, რომლებიც უნდა შეეგუონ ადგილ—მდებარეობას. 2.) საჭიროა ტეხნიკის შესწავლა და განვითარება, ვინაიდგან გაუმჯობესებულ მანქანების სიმრავლე უზრუნველყოფს გამარჯვებას.

3.) საჭიროა შეხამების გაუმჯობესობა, რაც შეამცირებს მსხვერპლს და მოწინააღმდეგეს გაუძნელებს დაზვერვას.

4.) კარგად უნდა შევისწავლოთ მანევრები, გამოვიყენოთ რკინის გზები, წყლები, ჯავშნიანი მატარებლები. ავტო-ძალები და ავიაცია.

ყუმბარა

ჭიტას რადიოები.

მუხრანვანი და ხაშმი.
ძველი რეპერტუარი...
„ბაიყუშის“ თამაში
და ახლების უარი.
„რევოლიუცურ დრამის
ვერ შევძელით დადგმა;
რადგან ეხლა ვისწავლეთ
ჩივილი. ენის ადგმა.“

ამხ. გრიცი.

მუხრავანით ნაკურცხლი
(რისთვის?—ვგონებ ვიცი)
თბილისში ჩამოვიდა
ამხანაგი გრიცი.
„ცეკა“ „ტეკა“ „პულკა“
შეაჯერა ყველა
და არ ვიცი როგორა
მოიპოვა შველა.

სამხედრო სამსახურით
მალე თავი აიშვა
და სადღაც ქარხანაში
ის „ზავკომად“ დაისვა,

2 რე ლეგიონში.

ეგიქოვი აქ სამხკომს
კულტ—საქმეზე ჰკითხავდა:
„როგორ არის თქვენში“ო
(გულში ვინ უწყს, ჰკიცხავდა!)
სამხკომი ეუბნება:
საქმე გაჩარხულია,
სხვა და სხვა სალამონი
უკვე განზრახულია.
და სამი მსახიობი
მუდმივ „პრიუმლაშონია“
საკუთართა ყოლასა
ეს აჯობებს მგონია!..

დაშნა.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორი ვ. ქუთათელაძე.